



პატი, 26 მარტოფრთ.

№ 52—1915

ფანი  
10 კ.

მიიღება ხელის მოწმობა 1916 წ. შპ

„თეატრი და ცსოფრებს“  
წელიწადი მეოთხე. — (იხ. მე-2 გვ.)

ქართული საქველმოქმედო

მედო სსზოგადოების



მისი ახსნავი  
პ. ა. ფოთუა



თეფრდოქარე მ. ვ. მანაბელი



სსზინდარი  
ვ რ. უფინი



მდეუნი პავ. ხაყვარელიძე

**საჩუქრის საზ. კლუბი** მიხეილის ქ. № 131

ერთი კვირის პროგ **26-3** ქრისტე-ოვე  
 შაბათს სიმებიანი ორკესტრი  
 კვირა მუსიკალური ს ლამო  
 ორ შაბ. სრულტოგრაფი; საზნადარი  
 სამ შაბ. ქაო. წარმოღვენა  
 ოთხ შაბ. სი. გორ  
 ხუთ შაბ. რუსიკალური საღამო  
 პარასკ. საზნადარი, სრულტოგრაფი  
 შაბათი სიმებიანი ორკესტრი პრესმანის  
 კვირა მუსიკალური საღამო  
 შემავალი ფასი: მაშკაენი—30 კ. ქაღები დ.  
 სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8/2 საათზე

**სასწავლო სასაღი** ხუთ შაბ. 31 ქრისტე-  
 შობისთვის, 1915 წ.  
 მომღერალ გიორგი ილ. ხუბინაშვილის  
 მეთაურობით გაიმართება ქართული კონ-  
 ცერტო წარმოდგენით

**პარტიზელი ბაჭი**

კომედი 2 მოქ. თარ. გორჯაძის.

II

**ბავშვები ჭაყაში:**

დაწერილებით პროგრამებში. დასაწ. 12 ს  
 რეფ. ბეჯლარიძე.

**ფობოგრაფია ი. ა. სტარუასი**

(ფოტოების ქ. და ევირილის ქ. № 13)

იღებს ფოტოგრაფიულ ფოტოს სურათებს სელ-  
 მისაწყვეტ ფასებში, სუფთად და ხელაფურდ.  
 შენაგვეთ საქმეს ასრულებს დანაშეულ ვადაზე.

**განათლება** საშენი

გაიგონ და სლიტერატურა ეურნალი (წელი-  
 წადი მეტრე). ეურნალის მასხინა ხელი შეუწოდა  
 ქართულს ოკაპებს და სკოლებში წესიერად  
 სწავლა-აღზრდის საქმეს ერთნულს ნიადგზე  
 უკანთალებს აწვედს მეთხველებს წერილებს,  
 როგორც სწავლა-აღზრდის მესხებს, აგრედვე  
 მეცნიერების ფოტოგრაფი და რევიდან და სიყვეა კა-  
 სმულ შენობიდან. ეურნალი გამოავს ნიუგლე-  
 ირივად ყოველ თვე კარდა ზეხუდად ორი თვე  
 სს (ფელისი და ზევისტა) ეურნალში ნიუგლე-  
 ბრივად იქნება ცალკე განყოფილება, სდაც დაი-  
 ბეჭდება ფოტოგრაფი ცნობები ქ. შ. წ. ვ. ბ.  
 სასოვადობის და მისი განყოფილებათა  
 მოქმედების შესახებ. ხელის მოწერა მიადებს  
 ტოვლისში ქართულ გამზახაში, ნაჯადასა-  
 რედაქციაში, წესა ვითხვის საზოგადოების წიგნის  
 მასხახაში იანე ჯაღიშვილთან, „Новая Речა“  
 -ის წიგნის მასხახაში ვიქსინგისთან და უკანთალებ-  
 ბისა კანტორაში. აღდას ქ. № 6.

წლიურად ეურნალი 50 ტოვლისში  
 გავსახით ეადრება 50 სელი-მა- 40  
 მწერთაფის სოფლის სკოლის მასწავლებლებს,  
 სასწავლო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის  
 მოწაფებს, სტუდენტებს, მე- 30-50 კ.  
 ეურნალი დაეითმობთ შვის

ცალკე ნომერი ეურნალისა ეადრება 50 კაზ.  
 რედაქციას სოხაყე ხელის მოწერაებს დროსზე  
 დაიკეთოს ეურნალი. მისამართი: Тифлис.  
 Дворянская Грузин, Гимназия Л. Б. Бо-  
 пиадзе. 1233 რედაქციაშიმც. ლ. გ. ბოცვაძე.

**1916 მიიღებ ხელის მოწერა 1916**

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებ  
 რიგ შინაარის სურათმზინი ეურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარხებით და  
 კარიკატურებით

წლიურად 5 მან. 5 მან. 3 მან.  
 მითხება წლიურად გამოსვლისა მითხება

**1916 წელსაც გამოვა**

ნიუგლებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელოვნო-სამხატვრო და ახალ-  
 გაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

**ეურნალი პარტიოთა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა  
 ეურნალი ხმობსამდე სურათი დაიბეჭდება**

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფელისი შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შე-  
 იძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის  
 ვადასახად ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტე შობისთვის ნომრებიც ვაგეზავნება.

ხელის მოწერა მიიღება ასორაპანისა სტუბაში (მედიოვის კუნძ. № 1, ვორონკოვის  
 პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან ილით 9—2 ს. სალ.  
 5—7 ს. ფოსტით: Тифлис, ред. Театри да Цховреба—Иос. Иმედაшвили.  
 ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა



№ 52

წელიწადი  
8 8 8 8 8 8

წელიწადი 5 მ., ნახევარ წელი 3 მ., კალკულაციონი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлиси, Ред. „Театри да Цховრება“ 1. Имени Давиши

ხელ-მოაუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერიები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 52

შ ა ბ ა თ ი, 26 ძ რ ი ს ტ ა შ ო ზ ი ს ი შ ი

1915 წ.

26 ძ რ ი ს ტ ა შ ო ზ ი ს ი შ ი

ახლად  
შობვა

იქნება კაცობრიობას, და მასთან ჩვენს სამშობლოსაც, არც კი გასთენებოდეს ისეთი მწუხარე შობა, თოგორიც აწინდელი: ეგრედ წოდებული კულტურული ქვეყნები ურთიერთს მუსრავენ და ამავე დროს მაცხოვრის შობას დღესასწაულობენ!.. ჩვენი ქვეყანაც, უნებლიეთ, საერთო ორომ-ტრიალში ჩაირეული, იწრიტება სისხლით...

მაგრამ ეს სისხლის წრეტაც არ არის სასოწარმკვეთი...

შობის დღესასწაული კიდევ ერთხელ მოგვაგონებს, რომ ტანჯულ კაცობრიობას ერთხელაც არის მხსნელი მოველინება, მხსნელი — არა ზე.კაცი, არამედ თვით მაცხოვარივით ბაგასა შიგან დაბადებული, მშრომელი ხალხის მკერდზე გაზრდილი...

ხოლო ჩვენი ქვეყანა, მრავალი დანაკლისის მიუხედავად, იმითაც უნდა ნუგეშობადეს, რომ ამა მიმდინარე წელს, სხვათა შორის, ხმა ამოიღეს ქართველმა ებრაელებმა, უფრო ძლიერ ანმაუტუნდნ ქართველი მკვამლანები და ქართველი გროფორბნებიც: ვანა სოჰეხი აშუღი არ არის, ყველას რომ ჩასჩინებეს „საქართველად შეიდი ხარ, შეიდი, იცან შენი ქვეყანაო!“. ქართველმა ჭბრავლებმა იცნეს უხსოვარის დროიდან შეტკობილი სამშობლო საქართველო, ქართველმა მკვამლანებმა მოსძებნეს ძველი კვრა — საქართველო; ჯერი ქართველ გრიგორიანებზე: აღრე თუ გვიან იგინი იცნობენ საქართველოს და მტრულად აღარ მოეპყრობიან...

გარდა ამის ჩვენს პოლიტიკურ წრეებში ეროვნულ საკითხს მეტი ყურადღება მიექცა. და ჩვენი ერის ახლად შობის ხანაც ამით დიწყება...

პირველობის  
შური

სოფელში ვინმე მუყაითი, თოსანი და ბეჯითი კაცი რომ გამოჩნდება ხოლმე, ხშირია, წამბამელობის მაგიერ, შურს იწვევს: იმას კი არა ცდლობენ მისეულად გააუშჯობესონ მეურნეობა, თვისი ყოფა-ცხოვრება, არა! ჩუმიდ, მზაკერულად ან ვაჰს გაუჟაფვენ, ან ნამყენს მოჰპაჟვენ, საქონელს დაუზიანებენ და... ასე: ვინ ოხერია, ჩვენზე წინ რომ დისი!..

ეს ამბავი მოგვაგონა კახელ კოპერატორთა კავშირის კრებამ...

ვინატრით, ასეთი ჩვენი შედარება მართალი არ იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი ცნობა და თვით მომხდარი ამბავი ცხად ჰყოფს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ შვილთა მოუწყველობას...

გამოჩნდა კაცი—ვინმე ლუკაშვილი—მუყაითი, გამჭირახი, საერთო საქმეზე თვდაღებული, დიდი მოსაქმე, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში არა ერთი და ორი სსიკეთო საქმე შეჰქმნა და იმის მაგიერ, რომ უფრო წაეჭვებინათ, გაინაპირეს და სსსარგებლო საქმეს სათავეშივე ღარღლი ჩააყოღეს...

ჩვენ იმას არა ვფიქრობთ, ვითომც დანარჩენთა შორის—ლუკაშვილის მოწინააღმდეგე ბანაკში—მასზე უკეთესი თუ არა, მისი მსგავსი მაინც არ იყოს, მაგრამ ეს ჯერ არა სჩანს... მართალია, სსსურველია ჩვენს ყო-

4301

ველგვარ საქმეში ახსნაგური თაოსნობა გამოვიჩინოთ ხოლმე, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ აქამომდე არ მივსულვართ: ჯერ კიდევ კერძო თაოსნობა, შინადა გაშვრანობა, საგნ ს გავიყვებითი სიყვარული თუ ჰქმნის ჩვენში საქმეს და ამიტომ ძლიერ უნდა ვაფასებდეთ ასეთ კერძო თაოსან კაცებს...

ამ მხრით მეტად სამწუხაროა, თვით საქმისთვისაც საზარალო, ისეთი მუყაითი მშრომელის განაპირება, როგორც ბ. ლუკაშვილი...

ვიმედოვნებთ, კახეთის კოაპერატორთა და თვით ამ საქმის მესვეურის გრძობა და წუთიერი აღტყინება საქვეწმო ინტერესებს დაემორჩილება და პირველობის შური საქმეს არ შეაფერხებს...



### ოხ! ზრ ვიცე, არა!

შუალამისას, როდესაც ბოროტებას ფართეთ გაეშალა ფრთები, როდესაც შორს, შორს გულსაკლავ წყვილადს ბროლად ანატები მყინვარი შევ ფრთებში ვაფხვია, როდესაც მოგიყვამაყე თერგის ტალღებიც-კი გამოუცნობ სევდის ზღაპარს სთხზავდნენ, როდესაც ბოროტების ბასრ კლანქებში სისხლ გამშრალ ადამიანის გულშემზარავი კენესა ტკბილ ჰანგად აღნებოდა ბოროტების მეფეებს ყურში, — აი მაშინ ვარდისფრად შეცვლილ ცის კაბადონზე ეშორთოლდა სხივოსანი:

— იშვებდით... ინეტარეთ... იშვა ქრისტე!

სხივმენ ვარდის ფურცლებად სწყდებოდნენ ეს სიტყვები შორთოლავ ბავეს, მაგრამ არ ვიცი ჩემამდის რად არ აღწევდნენ სხივმენობით?! ჩემს კაეშნიან გულს რად არ თრთოლებდნენ იმედის სხივით?!

ან და . ბროლად ანატებ მყინვარზე ტანჯულთ სისხლის ლაქებს მიანც რად არ ჰვარავდნენ?!

ოხ! არ ვიცი, არა!

ს. კაეშნიშვილი



### ა ლ მ ა ს ი

ქუჩის პირად იჯდა გლახა და სტიროდა... მეფემ დინახა გლახა, მივიდა მასთან და ჰკითხა:

— რათა სტირი?

— შე ვიპოვე ალმასი, მაგრამ ორმოში ჩავადე... ჩემი სიმდიდრე წშიდა სახარება იყო და სხვა სიმდიდრე აღარ მინდოდა. სწორედ ერთი საათის შემდეგ სარდაფიდან მომესმა მშვიერ ბავშვების ქეთინი... მათი დედა—სასოწარკვეთილი ტანჯვით ჩარბს ივენეტდა, ავადმყოფი მამა-კი კედელთან ჩაკეცილიყო და მძიმედ გმინავდა... რომ არ ვადამეგდო ალმასი, კარგი იყო: შევწირავდი ღარიბ ოჯახს და გაქირავებისად ვისნდი?!

მეფე ჩაფიქრდა. მაგრამ ამ დროს მეორე მხრიდანაც მოესმა ტირილი...

მეფე მიუბრუნდა მეორეს და ჰკითხა:

— შენ კიდევ რა გატირებს?

— „სიცოცხლე გავწირე და ხრამიდან ალმასი ამოვიტანე. ძვირფასი ალმასი წავიდე და ვაჩუქე სიღარიბისგან შეწუხებულ ოჯახს“.

— მერე ახლა რაღათა სტირი?

— „ალმასმა სიმდიდრით გააბატონა ისინი! გამედიდურდნენ“.

მეწუროვალს ართმევენ წყალს და მით თავის ვარდებსა რწყავენ, ოჯახის მამა ჰყიდულობს მონებს და უმოწყალოდ ეპყრობა ეხლქვეითთ...

მათთვის ალმასი რომ არ მიმეტანა, კარგი იყო: ისინი ცოცვას არ ჩაიდნდნენ“.

სურო



### დ ა რ ა ჯ ი

(ეპიზოდა)

შოპის საშინელი ყინვიანი ღამე იყო. ღრუბელთა ქულას ამოფარებული მთვარე, კრთალის შუქით, ნადვლიანად დაჰყურებდა პოლესის თოვლით გადაფენილ ქაობინარე-მარეს.

ქრისტეშობისთვის ცივი ნიავი დასისინებდა და იკბინებოდა მწვავვედ.

მღინარე პრიპიატი მოიკლანებოდა ზან-



ტად და რაღაც გამოუტყმელის მწყრომიარე ბუტბუტით იკარგებოდა ქალაში...

„წყვეული ქაობები“-ს (ასე ეძახიან აქ ნაყოფი ჯარის-კაცი ამ მიდამოს, რადგანაც ამ ომში ხშირი უბედურება ხდებოდა აქ) ერთ ჯვარედინ გზაზე, შემოძარცულ ტყის პირას, მდინარის მახლობლად, იქ, სადაც გაღმით მტრის მოწინავე რაზმები იყო ჩასაფრებული — გამოღმით კი ჩვენს სადარაჯო იმყოფებოდა, დარაჯად იღვა მინა აფციანური; ფარაჯაში ჩაფუთვნილი და თოფზე დაყრდნობილი ერთ ბებერ მუხას ამოჰფარებოდა, ის მალი-მალ მიმოავლენდა თვალებს ირგვლივ მიდამოს, რომ არაფერი გამოჰპარვოდა; სიცივისაგან გაყინულ ფეხებს ადგილობრივ აბაკუნებდა გათოვილ თოვლზე და იორთქლიდა ხელებს...

ხშირად — როგორც მარტოდ მყოფს — მარტობის ოანამგზავრი ფიქრები არ ასვენებდნენ და შორს იტაცებდნენ; ისიც გარინდებულნი, ვინ იცის, სად არ მისდევდა... და ვის არ ჩააფიქრებდა მარტობა სადარაჯოზე ამ ქაობების სამეფოში, აღამიანთაგან მოშორებულს, შორს ბანაკიდან, მუდამ შიშსა და ძრწოლაში, როდესაც ყოველი აჩრდილი მტერი გგონს და განუასაზღვრელი ცრუმორწმუნების შიში ვიპყრობს! მარტობის შიშს კიდევ უფრო მშვიერ ნადირთა ხროვის ამხრზნენი ყმულილი უძლიერებდა, გზა-კვალანეული მახლობელ ტყეში რომ დაძრწოდა.

მიხამ იცოდა, რომ დარაჯებს აქ ხშირად თავს ესხმოდნენ ხოლმე მგლეძნი.

მათს ყმულილში ბევრჯელ წარმოუღვა თვალწინ აღაზნის დაცემული ველი ზამთრობით, სადაც არა ერთხელ შეხვედრია მათ...

— ეს ვერანაღი საკეთილად არა ყმულიან! — ჩაილაპარაკა ჩუმად და სიფრთხილისათვის ხეს დაუწყა თვალღერება, რომ გაქირვებისას ზედ ასულიყო.

ასეთ ყოფაში თითქო დრო უფრო ნელა გადიოდა, რითაც მოუსვენრად ჰგძნობდა თავს მიხა.

მიუხედავად ასეთი ხვედრისა — ყოველ წუთს უბედურების მოლოდინში — მიანც საყვარელ ოჯახზედა ფიქრობდა. ხშირად გადასწყვეტდა, სრულიად არ ეფიქრა, არ გახსენ-

ნებოდა ცოლ-შვილი და ამისათვის ჰფიქრობდა ზოლზე მომხდარ ბრძოლაზე, მის სახარელ სურათებზე, მომავალ, მოსალოდნელ შეტაკებაზე, მაგრამ... რაა სიცოცხლე თუ არა სიყვარული? და იმის სიყვარულიც თავისიანებს დაჰფარებდა შორეულ საშობლოში, რომლის ტურფა სიმშვენიერე მუდამ გონების თვალწინ ედგა.

ხინ შობა!

მიხას აგონდებდა წარსული შობა, როდესაც სახლში იყო და ოჯახურის გულ-უბრყვილო სიყვარულით სტკებოდა...

აჰა! აი, თითქოს ახლაც იქაა: სოფიო ფულფუსებს და მოგუზგუზებ ბუხარში ზედადგარზე მდგარ ქებაში სახვლიოდ ვარის ამხადებს... აი, თაროზე შემარწული გოქი და თევზეული! კიღობანში ნაზუქები... პატარა ტატო კისერზე ეხვევა მამას და ფუნთუშა ხელებით არ უსვენებს მაშინლოს უღვაშებს; თან მოუსვენრად ეტიკტიკება: „ცად იკავი, მაშინლო, დგეს? ლა მომიტანე? აქალი ცუტები მიკიდეე? ჰაა, ჩამილო? კაკები?!“ მიხას უხარია! შეხარის თავის ღარიბსა, მაგრამ ტბილ კერას... საყვარელ სოფიოს ეხვევა, უტოკნის თვალებს და ნეტარებით იცემა.

პაწია ბიჭიკოს გულში იკრას და შეხანარის მოშავალ შრომის შვილს.

...თოფს მაგრა იხუტებს ხელში და ეალერსება, თითქოს თავის ცუგრუმელა შვილი ყოფილიყოს... მას უნდა დიდხანს გაგრძელდეს ეს მოგონებათა სურათები, მაგრამ მგელთა ყმულილი არ აძლევს მოსვენებას და ოცნებას ურღვევს...

ობრავს, გულს სევდები აწვევა, რომ ითვალისწინებს დღევანდელ შობას: უპატრონოდა დარჩენილი ოჯახი, არსაიდან შეველა, არსაიდან ნუგეში... სიმშლი კი აფრანულილი თავისუფლად დანავარდობს.

აგერ, რამდენი ხანია აღარაფერი იცის, რა ხდება საყვარელ საშობლოში. შინიდანაც არაფერი ამბავი მოსვლია. ექვები ეპარება, დარდობს: — ვინ იცის რა მოუვიდოთ; იქნება დაიხოცნენ. ვაიმე, საყვარელო ცოლ-შვილო. — გულ მოკლული ამბობს და ბელემდურის: — ვაი, თუ გშიანთ, ვაი თუ გწყუნ-

რიანთ. ვილა იზრუნებს თქვენთვის, ვილა გაგახსნილებინებთ შობას?... ასეთ პოლუგენარ ტანჯვას განიცდის მხვა, მაგრამ არც სამხედრო სამსახურის მოვალეობას იკისრებს და ერთგულად იცავს ჩაბარებულ გზებს...

ჰყინავს ყველაფერს... მგლები დათარეშობენ და თოვლში ჩაფლულ მკვდრებს თუ საღმე მიაგნეს, სწრაფად სთქვლევან...

მიხა კი უნძრევლად სდგას საღარაჯოზე. ამ განცდაში რომ იყო, თვალეში შეანათა მგლის ორმა ელვარე თვალმა მგელმა, შეამჩნია თუ არა კაცი, საზარლად შეტყუვლა, რითაც დანარჩენთ ამცნო მსხვერპლის შოვნა.

ამ ხმის გამგონე მიხა, თუმცა გულმა შემოაკენესა და თმა აებურძენა, არ შეშინდა, და რადგანაც სროლის ნება არა ჰქონდა, სანამ მტერი არ ყოფილიყო, ხოლო მგელთა ხროვა კი თანდათან ახლოვდებოდა, თოფი თასმით საჩქაროდ მხარზე გადაიდო და ხეზე ასვლა დააპირა, მაგრამ, სწორედ ამ დროს, ერთი მოზრდილი მგელი კანკში სწვდა და ჩექმა ხორციანად გამოაგლაჯა, ხოლო მეორე ფარაჯის კალთაზე ჩამოეკიდა და ქვევით დასწია. მიეშველნენ მათ სხვებიც... ისინი ქვევით ეწეოდნენ, მიხა კი ზევით მიილტოდა.

სიცვისაგან დაბუზულმა ხელეგმა მტრი ველარ შესძლეს, და მიხა ძირს ჩამოვარდა...

ნადირნი გააფთრებულნი ეცნენ...

მიხა არ დაიბნა და წამოვარდა ზეზე; თოფი მოიმარჯვა და ხიშტით შეებრძოლა. იქნევდა თოფს გამწარებული და, ვაი, იმას, რომელსაც ატაკებდა!



ასე გაგრძელდა კარგა ხანს. მიხა სისხრიდან იკლებოდა, სუსტდებოდა.

ნადირნი თანდათან მრავლდებოდნენ...

მიხას სიცოცხლის წუთები მოკლდებოდნენ...

უკანასკნელად მოიკრიბა ძალ-ღონე, და მწარე ტრივილებით შეწუხებული გადაეშვა მგელთა ხროვას... სისხლით შეიღებმა იქაურობა; მაგრამ ძლეული, გულ-წასული მიხა საღარაჯოზე დაეცა.

მგლები კი — ეხლა უფრო თამამად — აქეთ-იქით ეწეოდნენ და გაალმასებულ კბილებით ერთმანეთსაც აღარ ინდობდნენ...

ს. ერთაწმინდელი

## ხალხური შემოქმედება

თაფარაწმელი ზაგაში

(ფშავლებში ჩაწერილი გავოლა გაბიღურის-მიერ)

თაფარაწმელი ქაბუკი ზღვის ვალმა ქალსა ჰყვარობდა. გადიოდ-გამოდდიოდა, ცურვით თევზებსა სდარბოდა. ქალი უნთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა. ერთი სულელი ბებერი იჯდა და აბეზარობდა. ქალსა გაუქრო სანთელი: ჟგ კარგა ხანი გყვარობდა! მოყმე შთაენთქა მორევსა, შუა ზღვას ბობოქარობდა; ქალმა დაეცა დანაი, ქალი თავს აღარ ნანობდა მეორე დილა გათენდა, სოფელი რასმე ჯავრობდა, დედის ერთის გულზედა ისხდა ყორნები — ხარობდა: შემოსილიყო ცხრა მღვდელი, ცხრც დიაკვანი ვალობდა...



# საზოგადო მოღვაწენი



## მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი

რა იქნებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ სატყეის ხალხთან საქმის ხალხიც არ გვეყოლოდა!..

ხოლო როდესაც შვევრ სიტყვის პატრონს ღრმა ცოდნა, მკრელი კალამი და საქმიანობის უნარიც ახლავს, მაშინ ასეთი კაცი უმეტესად პატივსაცემია...

ჩვენ გვეყავს ასეთი კაცებიც, რომელთა შრომითაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება წინ მიდის...

ერთი ასეთი მოღვაწეთაგანია მისხეაღ ვახტანგის ძე მაჩაბელი, რომელიც 30 წელზე მეტია, რაც ჩვენს საზოგადოებრივ საქმეებს კვალ და კვალ მისდევს, როგორც ჩვენის ქვეყნის დიდი გულშემოტიკიერი მოღვაწე... 90-იან წლებში, საადგილ-მამულო ბანკის საქმეებში მონაწილეობდა, და ერთ საუკეთესო ორატორად, მოსწრებულ და პირდაპირ მოკამათედ ითვლებოდა. დიდი მკოდნეა საქართველოს სამიწათმფლობელი საქმისა და მრავალი წერილი აქვს დაწერილი სავლესო საკითხის შესახებ, რუსულად თუ ქართულად. ცხრაასიან წლებში ილია ქაქუაძის „იერი-ია“-ში თანამშრომლობდა, 1910—1913 წწ. ქართული მიმართულების რუსულ გაზეთს „Знаккавказе“-ს აწარმოებდა, რისთვისაც ბლომა ვალი დაეღო. ილია ქაქუაძის გარდაცვალების შემდეგ ორგანის აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს ამომრჩეველად, —პირველად ძლიერი სიტყვაც წარმოსთქვა ქართველი ერის უფლებათა და ილია ქაქუაძის პიროვნების დასა-

ცველად, როდესაც საბჭოს წევრების არჩევნებში რუსის უკიდურესმა მემარჯვენეებმა განაცხადეს — ქართველთაგანი ილია ვახტანგის ძე მაჩაბელი, მაგრამ მ. მაჩაბელი სთხოვეს კიდევ სახ. საბჭ. წევრობაზე ყუთი დაეღა, მაგრამ ადგილი ანერისთავს დაუთმო; მეორედ წელს (1915 წ.), კდე იყო ამომრჩეველად, მისი კანდიდატურაც წამოაყენეს, მაგრამ რადგან მემარჯვენე ბანაკში ჩაერიცხა — მემარჯვენეთ არ გაიყვანეს.

დღევანდელ ხანაში მისი ღვაწლი იმითია ღირს-ალსანიშნავი, რომ ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა და მიძინებული საქმე გამოაღვიძა: მკორე ხნის განმავლობაში დიდძალი ფული მოუპოვა (სხვათა შორის, მთავრობას დაუმტკიცა, რომ ქართველების დახმარება იგვე სახელმწიფო საქმე, დახმარების ღირსი, რისთვისაც ამ საზოგადოებას მიეცა ერთდროულად ასი-ათას მანათზე მეტი, ხოლო ყოველ თვიურად ათი-ათას მანათამდე ეძლევა), წევრები გაუმრავლა და განსაკუთრებით ქართველ მაშაღიან-აჭარელთ დიდი ზნეობრივ-ნიეთიერი დახმარება აღმოუჩინა. ეს საზოგადოება,

უკვე მკვიდრ ნიადაგზე სდგას და დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდ მხნედ იღვწის.

როგორც საზოგადო მოღვაწე, მ. ვ. მუდამ წინაღმდეგი იყო და არის საზოგადო საქმეში სასახურის სანაცვლოდ ჯამგარი იღოს რ მე. თვით მსახურებს სახელმწიფო ქონებათა სამართველოსა და მიწათ-მომწყობ პარტიაში, რუსის მოხელეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი, რადენად პირნათლად ასრულებს სახანო სამსახურს, იმდენად ქართველი ერის ინტერესებს გაბედვით და შეუღრეკლად იცავს. რუსეთს ბუნებისმეტყველთა კრებაზე თბილისში 1913 წ. წარმოსთქვა ფრიად შინააჩისანი სიტყვა, ამილია რუსის საზოგადოება და, სხვათა შორის სთქვა: საქართველოში ქართველები.თვის არაფერი კეთ-



დებოა... თქვენ მოსულხართ ბუნების შესასწავლად, ღირსეულ ნაშთთა დასაცველად, ადამიანს კი იფიწყებთ: საქირთა ადამიანის დაცვა-ვაფრთხილებოა...

მ. მ.—ს ქართველ საზოგადოებაში დიდი პატივისცემაც აქვს დამსახურებული, თუმცა საზოგადო საქმეებზე არა ერთხელ უდიერადაც შესჯახებიან.

მეტყობთეც საუკუნის მეორე ნახევრის აქედ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას იგი ფიზიკად აღევნებდა თვალყურს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველი მოვლენა ახსოვს, როგორც დიდი მესხიერების კაცს, და ამიტომაც არის, რომ მას ხუმრობით ზოგჯერ ატყევენ უწოდებენ. ურიგო არ იქნებოდა, რომ პატივცემულს. მოღვაწეს თავისი მრავალწლის ნახულ-განცდილი, მოგონებანი, აღეწერნა ფართე საზოგადოების გასაზიარებლად.

მ. ვ. მაჩაბელი ჯერ შუახნის კაცია, ჯანსაღი, და იმედია, კიდევ დიდხანს უფრო მომეტებულის მხნეობით ემსახურება ჩვენს ქვეყანას...

**იოსებ არიმათიელი**

**ორი მუშაკი ქალი**

(ზარი ნასესხებია)

I

ერთი ასული გასათხოვარი, დიდ მეჯლისილამ დაბრუნებული გათენებისას, ნაზი ხმით ამბობს: „ახ! რა ძალიან ვარ დაქანცული.“ სწრაფლად დაეცა ის სავარძელზე და მიეყრდნო მას თვალ-დაბუქული: წარსული ღამის ტბილ მოგონებით მისი არსება იყო მოცული. ნაზი, გამხდარი მისი სხეული იყო საბრალო შესახვედვი, და ფერწასული სისხლ-ნაკლებობით ძლივსდა სუნთქავდა ის საცოდავი. დიდის ჯაფისა და მოძრაობის პირის სახეზე ანდა ხაზები, და უშვენებდა გულმკერდს მიღეულს მას ხელოვნური ია-ვარდები. მის გაწეწილი თმა სურათლებით უხვად მრავალ გზის იყო სურული,

და სანახევროთ ტიტველ იმის მკერდს ნელის-ცემითა არხვედა გული. ან კი რა ექნა? ბევრი იჯაფა და დაილაო ნაზი ასული: სამს ღამეს მიწყვი მხურვალე ცეკვით დიდს მეჯლისებზე იყო ვართული. და ამალმაც კვალად საცეკვად უნდა წაიღდეს იგი „საწყალი“. ღმერთო! მოხედე ზეცით მუშაკსა და შრომისათვის შესძინე ძალი!

II

იმავე სახლის ქვემო სართულში ერთი ოთახი იყო მიდგმული, მეტად პატარა და უსინათლო, ღარიბულათა და სუფთად მორათული. მასში სცხოვრობდა მეკრავი ქალი, სამუშაოდამ არ იღებდა თავს. მეჯლისა, ღზინსა და ცეკაობას ვინ აღირსებდა იმა საცოდავს?! პურსა და ყველსა შეეცქოდა, და წყალი იყო მისი სასმელი, თვის ოფლით მოხუც მშობლებს არჩენდა,-- ის იყო მათი სულის ჩამდგელი. შუა ღამეა უკვე გასული... ჩქარობს და თანაც უღელავს გული... სურს ჩააბაროს დილით ერთს „დამკვეთს“ ფარჩისა კაბა გათავებული... კაბაც შეკერა... ვახარებული ჩაწვა ლოგინში ტანთავაუხდელი. ტკბილი ძილიცა მალე ეწვია, დალილისთვის ძალი მომნიჭებელი. იმის ნახს სხეულს მშვიდად ეძინა; გამხდარ სახეზე ანდა დიმილი... აღბად თუ ნახა იმან სიზმარში თვისი მიჯნური, საქმროდ ხმობილი. ადრე აღგება დილით საწყალი და ხელს მოკიდებს კვალად საკერავს... შუალამედის სამუშაოდამ, რა გინდ უქირდეს, ვერ აღდებს თავს... ზევ ისევ შრომა... და მეტის სიცოცხლეს ჯაფაში დაღვეს საბრალო ქალი... ღმერთო! მოხედე იმას ზეცითა და შრომისათვის მომადლე ძალი.

**ილ. ფერაძე**



# უკველანი სავარკნათის თიასრი

ტრაკედიებისა და კომედიების ავტორები ეკუთვნოდნენ განათლებულთა წრეს და სმირად მადლი ადგილებიც ეჭირათ სსსოკადეობაში. სოფოკლე იყო შიკობარი გამოჩენილ და უადღეს ადამიანის პერსონაჟისა. პერკლეკლასი ერთად სოფოკლემ გაილაშქრა გუნბულ სიამისზე. ამ გალაშქრების დროს მან გამოჩენილ მხედრის სახელი დაამსახურა. ევროპიელ თაყვის დროის ერთი განვიითარებული ადამიანთაგანი იყო და მისი ბაბილოთაყვ ერთი საუკეთესოთაგანი მამინდელ საბერძნეთში.

არა მარტო დრამატურგი-მოცინები, არამედ ამ მტონების ნაწერების სუფას ჩამდგმელი მსახიობნიც საბერძნეთში ხალხის დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. ამში მათ ხელს უწყობდა ის ტანვარჯიშები, რომ ისინი განვითარებულნი იყვნენ.

მსახიობნი და პიესების ავტორნი მამინდელ საბერძნეთში რომ უზიარებდნენ და უგანათლებულენი იყვნენ, ეს აქიდანაც სწინა, რომ ხშირად მათ მიანდობდნენ სხუარადლებო სახელმწიფო საქმეებს. მსახიობები არისტოკლემს და ნეობტოკლემს მიანდგენს მკაელონიის შეფე ფილიპესთან ელნიობა. უდიდესი ორატორი დემოსთენი გამოჩენილ მსახიობ სკრიპტურისთან სწავლობდა დეკლამაციას. ზოგიერთი სახელ-განმეჭული დრამატული მტონები იმავე დროს მსახიობთაც იყვნენ, როგორც მკ. ესხილი.

ბერძნებს თავის თეატრი ძალიან გატაცებით უყვარდათ. დიონისის დღესასწაულებზე ისინი უადღის უოველ მხრდინს ათინაში იკრიბებოდნენ. ვინაიდან წარმოდგენა მთელი დღის განმავლობაში გადვლდებოდა, ამიტომ უოველ მომსვენულს თან მოქონდა სარქული. სსსოკადეობა თავის ადრეობის უფროდითა და ტამისცემით გამოთქვამდა და გმირის ტანჯვის თანაგრძობას ეს ურთობა და ცრემლებით.

საბერძნეთის თეატრს სხვა მნიშვნელობისთან ერთად სიღვიწურა მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ თეატრში მოსული ურბნები სსსოკადეობა იმსჯელებოდა საერთო გრძობით, ათასი ხალხის გული ერთ ჰანტზე სცემდა, სყოველდღეობ ინტერესებით გათიშული ხალხი ერთიანდებოდა,

ერთი სულიერი გაწეობილებით და ურთიერთობის გაუმართა გრძობდა.

გარდა მოქმეზე სსსოკადეობის გართობისა, თეატრი ასრულებდა სხვა მნიშვნელობის როლსაც ის ამაღლებდა ხალხს სენობრივით და გონებრივად. სცენიდან ესმოდა ხალხს საბერძნეთის ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების აზრები, ფიქრები და გრძობები. ესხილი, სოფოკლე და ევროპიელ თაყვის ტრაკედიებით ბრბოს გულში ადვილებდნენ გრძობას, რომელიც თუ არა პოეტის ცოდნადა სხავერი, მიუწეებოდა იქნებოდა სმუდამათ. საუკეთესო ხალხი თაყვისი პიესებით ბრბოზე გაუფენს სტოეობა და ბრბოც ისე ფიქრობდა, ისე აზროვნობდა, როგორც ეს ხალხი. დრამებში ბრბოს თანაგრძობა მიუხეუბებს ამათ, ვისაც თანაგრძობლები ავტორნი, შეახიზღეს—ვისი ზიზღილ საჭირო იყო. ისინი თეატრში ბრბოს თაყვის დენიშე ამადლებდნენ, ხალხი, თეატრიდან გამოსვლისას, თაყვს განწმენდილად გრძობდა. ამკვარი იყო საბერძნეთის ტრაკედიის გაუფენს ხალხზე.

საბერძნეთის კომედია დიდი თაყვისუფლებით სარგებლობდა კომედიაში უყვარდნის დაწერა შეიძლებოდა, არაფერი არ იყო აგრძალები. კომედიას გამოქონდა ხალხის სასმჯაროზე არა მარტო სსსოკადეობრივი ცოდვები, არამედ კერძო პირის ბოროტ-მოქმედებაც. არ იყო კაცი, რომ კომედიას არ შესდებოდა მისი სცენაზე გამოუყვანა, მისი ნამდვილი სახელით მონათვლა. არისტოფანე გაბეჭულათ დღისიდა კვლანსაც კი. ანინსხად, რომ კვლანმა უფლებას ხელთ იგდო, მკვრელ უდიდობა ამისით. კომედია მამინ პიესის როლსაც ასრულებდა და დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა.

უძველეს ბერძნებსათვის თეატრი იყო ის დაწესებულება, სადაც ჩვილებობდა მათი გული, სკოლა, სადაც ნათლებობდა მათი ტკუა-გონება და ტრობინა, სიდანაც ისმოდა ბოროტობის მამიხილებელი სიტყვა. თეატრი იყო ბერძნეთთაყვის წყარო სხიფეობილ სიხარულისა. იგი ასრულებდა წიგნის და გაზეთის მოგვარობასაც.

ხალხის ცხოვრებაში ისე, როგორც კერძო პირის ცხოვრებაში, სრულ აყვავების და გაფუხრების შემდეგ იწყება ხანა დამბრუნების და დეგრესიის. ამ უღმობებელ ბედს ვერ ასცდა ვერც უძ-



ველეის ედღა. შინაურმა უთანხმოებამ, განსაკუთრებით სპარტასა და ათინას შორის ცილიზაციამ, რომელმაც ათ წელიწადი ბელაბონების ომი გამოიწვია, გააღატაკა საბერძნეთი და დაამხო ათინას რესპუბლიკის ძლიერება. უდიდესი საბერძნეთის ხალხი, რომელმაც, კოლხის სიტყვით, გააფხვება კულტურისა და ცივილიზაციისა და რომლის მოდერნიზაციამ დაიწყო იმისთვის, რაც გააკეთა სხვა ხალხმა, ნელნელა მიიფარება და გაქრა.

მიიფარება საბერძნეთის თეატრიც. ძველებურად კიდევ იწერებოდა ტრაგედიები და კომედიები, მაგრამ არც დრამაში და არც კომედიას-

ში არ იყო ის ახალგაზრდობის სინდრომი და ის ძალა, რაც საბერძნეთის ჰომეროსის მიხედვით ხანაში იყო.

ამავე ხანაში დაიწყო აღორძინება ახალისა და უდიდესი სახელმწიფოებისა. ეს სახელმწიფო იყო რომი. ის თანდათან იფარებოდა თავის სახელებს. მისი ნახევრად ველური ლეგიონები სმულთა შუა ზღვის ნაპირებზე იმერობდნენ ადგილებს. საბერძნეთის ბედმა არგუნა ამ უდიდეს სახელმწიფოს ერთერთ მრავალრიცხოვან გამხარბოთ.

როგორა იყო თეატრი რომის იმპერიაში? ამასე ვეძებ.

**ვიგლა მეტუკე**

# ყვავილები

## მარგარიტა გოტიშვილი

ო, მარგარიტა! მარგარიტა! შენს უკვდავ ტრფობას, ტრფობას საშინელს, ტრფობას ლამაზს, ტრფობას დაფარულს ვინ დაფასებს? ვინ შეიძლებს მის გამოცნობას? ო, მარგარიტა! მარგარიტა! მე შენმის შენი. მე ვხედავ თვალდებს—შენს მუქ თვალდებს—ცრემლით დაღარულს,— მაგრამ მითხარი, მიპასუხე, სთქვი, ამისხენი, მავ შენის გრძობით რად, რად ათბობ ჩემს მიმკვდარ გრძობას, რისთვის მაგონებ, უბედულო, ელეს სიყვარულს?!

ნ. ჩხეიძის ვასტროლი, თბ.—15 წ.



მანო აბაშიძე

## ი. გრიშაშვილი

\*  
\*  
\*  
—ს

შენ ზღვის ტალღა ხარ, ტალღა ძლიერი ქარიშხლის ფრთებით აღვლევებული; შენ ჩანჩქერი ხარ, ცელქი ჩანჩქერი კლდის ყრუ ნაპირაში აფეთქებული... შენ ფოთოლი ხარ, ნაზი ფოთოლი ვენების ნიავეთ ათროლოებული; შენ ბაგეს აპობს ღიმილის ზოლი, ზოლი ეროსის ფრთით გავლენებული... და ვფიცავ შენს თავს, ვფიცავ შენს თვალდებს, ვფიცავ შენს სახელს, წამწამთა ქვრას, უშენოდ სული კვნისის, ვალღებს, და შენ ვერ ხედები ჩემ გულის ძვრას...

**ცვარნამი**



კოლმ. თავ. ნ. ა. ბაგვაშვილი

გმირობისათვის ოქროს ხმლით და სხ. დაჯილდოვებ.

# ელისაბედ ჩერქეზიშვილი სხვადასხვა როლში



მათლა (60 წ. „არშეია“) ფროშარი (ორი თბილი) ხორეშანი (60 წ. „არშეია“)

## ბ ი ძ ი ა შ ი თ ს

ჩვენო ჩუმო მოამაგევ,  
მგოსანო ბიძია,  
მსურდა შენთვის მომეკრიფნა  
გაზაფხულის ია,  
მაგრამ წყეულ შემოდგომას—  
რა ვქნა—გადუხშია!

სხვა რომელი ყვავილია  
შენზე უტურფესი,  
იასავით თავ-დანხრილი,  
მორცხვი, უნაზესი?—  
ლედას ვფიცავ, არც ერთია  
შენზე უკეთესი!

მაშ, რა უყო, რა მოგიძღვნა,  
საყვარელო ძია;  
ვის-რა ვთხოვო,  
რა ვიშოვო,  
შენზე ლამაზია?..

ნუ გამკიცხავ; გენაცვალე;  
ჩემო კარგო შიო;  
რომ ასე ხელ-ცარიელი  
ეკლზე მოგვხვიო!

გ. ქუჩიშვილი

\*\*

თეთრ სამოსელს ფლასად ვაქცევ,  
სარეცელად—მიწას შავსა,  
ლდეს შავ ლამელ დავისახევ  
და ნაღიმად კეწანსა,  
ცრემლით მინდორს ტბათა შევქმნი,  
მოთქმით მთა-გორს ვაქცევ ბარად,  
ოხვრა-კენესით სულსა დავლევე,  
თუ სხვა გეტრფოს ჩემად გვარად!..

დარია ახვლედიანისა

## ს ა შ თ ბ ა თ

ჰყინავს და ჰყინავს ზამთარი,  
თოვლის ფერფლები ცვივიან,  
კრიჭა შეჰკვერიათ სულ-დგმულთა,  
მამლებიც ვეღარ ჰყვიან.

ღარიბ-ლატაკნი, ბეჩაენი  
ღმერთსა ჰყვედრიან; ჩივიან;  
უმწეო მათი ცოლ-შვილნი  
სიმშობისაგან წივიან.

გული იტანჯვის, სული სწუხს,

მეორე მხარეს რომ ვხედავ  
კმაყოფილ დაღვინებაში.

იაგო ტეტუნაშვილი



# ბელი ქართლისა

ისტორიული ქრონიკა 4 სურათად  
(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 51)

## VI

იგინავე და ნინია.

**ნინია** (სწაქრდად შქიდაის) ამილახორ-  
მა მოგახსენა, ქალიაო!

**ზაზა** ეჰ, ვე ვერაფრად შექაშნიკა, ჩე-  
მო ნინიკო! მაშ ქალიაო?

**ნინია**. დიახ, ჩემო ბატონო!

**ზაზა**. მინც არა უკირს-რა! ენახავო კი-  
დევ რა იქნება. ბატონებო! დღევანდელი სა-  
ქმე მოხდა ჩვენ დაუკითხავად, როგორც  
რცით, ესე იგი, საქართველოს წარჩინებულ-  
თა კახთა და ქართლთა თავდათა დაუკითხა-  
ვად. რაო გვინდა ჩვენ სხვისი მფარველობა?  
ჩვენ თვითონ, ჩვენს ქვეყანას განა ვერ მო-  
ვუვლით? ჩვენ თვითონ ჩვენსა თავისუფლებას  
განა ვერ დავიცავთ? ჩვენ თითონ ჩვენისსავე  
ძალითა და ღონითა გარე-მტერს კისერს განა  
ვერ მოვუვრებთ? რად გვინდა სხვისი შველა,  
მერე იმისი შველა, ვინც ჩვენ არც კი დაგვიძი-  
ხნია? რად გვინდა სხვისი ცოდვა? რად გვინდა  
სხვისი სისხლი, რომელიც ქართველთა გვამში  
ისეილად ქარბია? არა, არ გვინდა სხვისი შვე-  
ლა! ჩვენ თვითონ, ვინც აქა ვართ, თუ ჩე-  
ნივე ღონე ვერ მიგვიწევს, მივმართოთ ალექ-  
სანდრე ბატონიშვილს, მივმართოთ ბატონი-  
შვილს იულონს, ერეკლე მეფის საყვარელს  
პირველს ძეს. ესენი თუ არა, დავით ბატო-  
ნიშვილი განა აქ არა გვაყავს? ან რად გვინ-  
და ესენი, როცა ორი გვირგვინოსანი დიდლო-  
ფალი გვაყავს, დარეჯანი და მარკიმი! დავი-  
ქერიწით მით ხელში საქართველოს დროშა,  
ჩავსდგეთ მის ფრიალის ქვეშ, დავსძახოთ კი  
ჟინა და მაშინ ჰნახავთ თუ რომელი მტერი  
გაუძლებს ჩვენსა ხმლის ტრიალსა?! ვაჰ, შენ  
ჩემო თავო! ახლა მოგხუცდი, ახლა მღალა-  
ტობს მკლავი, თორემ ჩემს ჯეგლობისს ოცს  
კაცს ვებრძოდი ხოლომე და გამარჯვება ყო-  
ველთვის მე მჩრებოდა! რამდენნი ხართ აქა,  
ჯეგონი! რასა შერებთოთ თქვენა? ფუჰ, თქვენს  
ქართველობას, რომ მფრთხილად ხართ ამ  
ჟამად! ფუჰ თქვენს მარჯვენას, რომ მახვი-

ლის ტრიალის მიგვიერ, ამ სიონში პირჯვარის  
გამოსახვით აქნეთ თქვენს მარჯვენას რაღაც  
დღესასწაულისა გამა. ფუჰ თავა თქვენთა!  
რა დღესასწაული, რის დღესასწაული! დღე-  
სასწაული კი არა, დღევანდელი დღე ჩვენი  
სიკვდილის დღეა და აბა, ქართველნო, არი-  
ქათ გამოვიღოთ ხელი, ნუ ვართ ლაჩარნი,  
ავსდგეთ და ვიბრძოლოთ!

**ბაგრატ**. ყოჩაღ, ზაზა! ყოჩაღ! ვაშა, ვა-  
შა შენსა ვაქაჯობას, ვაშა შენსა მხნობას!  
აი, აგრე უნდა, აი! აგრე უნდა გავგებხნევო  
ხოლომე! მაგრამ დიაცა პატარას ხანს, დალა-  
გებითა სიტკეი რა გწადიან!

**ზაზა**. როგორ თუ დალაგებითა ვსთქვა?  
ამაზედ მეტი რაღა დალაგება გინდა, რასაც  
გულში გვირბობ, იმას ვამბობ? არ გვინდა  
ჩვენ სხვისი შველა! არ გვინდა გამდელი! არა,  
არა და არა!

**ყველანი**. არ გვინდა, არ გვინდა, არა,  
არა! ვაშა ზაზას, ვაშა!

**ბაგრატ**. გავგუქულეთავენ, გაგვსრესავენ,  
მტვრად გვაქცივენ!

**ზაზა**. ბრძოლაში რაც უნდა მოხდეს,  
დაე, მოხდეს! გავგუქლიტონ, გაგვსრისონ,  
მტვრად გვაქციონ, არაფერია, გავუძლებთ  
ყველას, გავუძლებთ, არ გვინდა, არა, და არა!  
(შთქალაქენი ერთმანეთს წასჩურჩულებენ და წუნა-  
რად გავჯენ)

**ყველანი**. არა, არა, არა, არა!

**ერეკლე**. ფიცი! ფიცი! ფიცი დასდეთ  
ერთგულობაზედ?

**ყველანი**. ფიცი! ფიცი! ფიცი!

**ზაზა**. (ხმაღს ამოადებს) ხმალი! (ეგვლა-  
ნი ამოადლებენ ხმლებს) აბა, დაფიცეთ! (ქუ-  
დაებს მოასწადან, ყოვალს ფიჭუედ თავთავინთ  
ხმაღს ზაზას ხმაღს ოღნაგ დაჭკვრუნენ) ვი და  
ვაგლაბი იმას ვინც მამულს უღალატოს!

**ყველანი**. ვაი და ვაგლაბი!

**ზაზა**. თავს ლაფი დაესხას და გაუტყდეს  
სახელი ვინც მამულს არ არგოს!

**ყველანი**. ამინ! ამინ!

**ზაზა**. იფიცე, შეურცხვეს პატროსნება  
იმას, ვინც გვიღალატოს!

**ყველანი**. ვფიცავთ!

**ზაზა**. დღე და ღამ მოსვენება ნუ მოგე-

ეს ღმერთმა და დავუტანჯოს სენიდიისს ქენჯნამ თუ ოდესმე ვუღალატოთ ერთმანერთს.

**ყველანი.** ფიცავთ!

**ზაზა.** იფიცეთ ყოვლად მაყრობელის, მაღალი ღმერთის სახელით; წმიდა სფისკვერი ჩალად გვექცეს და წმიდა ზედაშე მწარე შხამად, თუ ურთიერთს როდისმე ვუღალატოთ!

**ყველანი.** ფიცავთ!

**ზაზა.** იფიცეთ საშინელი განკითხვის დღე; იფიცეთ რაც კი წმიდაა თქვენს გულში, რომ თავის დღეში დალატში არ შევსდგათ ფეხი და თუ ვინმე მტრის წინაშე დაიხაროს ქედი, მან თვისი დედა, დაი, ასული, ცოლად შეირთოს და ხასად დაისვას! ამინ!

**ყველანი.** ამინ! ამინ!

**VII**

ივანივე და **ოთარ ამილახორი**

**ოთარ.** (სწრაფად შეშოდას) ბატონებო! ბატონებო! თქვენი ყრილობის ამბავი შეუტყვიათ და სწრაფად მოდის აქ ჯარი, ზარბაზნებით! დაიშალენით, ჩქარა!

**ზაზა.** ვინ იყო მერე ჩვენი გამცემი?

**ოთარ,** ჩინოვნიკმა მოიტანა ამბავი, რომ თქვენ აქ რაღაცა საიღუმლო საქმე გქონიათ!

**ზაზა.** იმას უყურე! რა ეშმაკი ყოფილა! ტყუილად კი არ დავაფთვლიერა!

**VIII**

ივანივე და **ლაზარევი ჯარით.**

**ლაზარევი,** ბატონებო! თქვენ აქ რა ამბავი გაქვსთ? რაღაც საიღუმლო, რაღაც შეთქმულობა?

**ზაზა.** რასა ბრძანებთ, ბატონო! რის საიღუმლო და რის შეთქმულობა? ჩვენ აქ ურთიერთს მივეცით ფიცი, რომ ერთად ვიყვეთ ყველანი; სჯეროდ საქმეში და ეს არის თქვენთან ვაპირებდით ხლებას დარიგებისათვის.

**ლაზარევი.** ახლავე დაჰყარეთ იარაღი, თორემ ძალას ვიხმარ!

**ზაზა.** იარაღის დაყრა რა საქროა, ბატონო! ქართველსაოვის იარაღის დყრა დიდი სირცხვილია! ნუ ინებებთ ამას; ხმა არა გგონიათ, რომ იარაღი ვიხმაროთ თქვენზე და წინააღმდეგობა ვაგიწიოთ?.. რასა ბრძანებთ?

**ლაზარევი.** ჰმ!.. მართლსა ბრძანებთ?.. მაშ ეს შეთქმულობა რაღა იყო?

**ზაზა.** მართალს მოგახსენებ, ბატონო, თქვენ ტყუილი მოგახსენეს და ჩვენ ვილაცამ დავგებულა. შეთქმულობა კი არა, სჯა გვექოდა თუ ვის რა შეგვიძლიან, რომ თქვენ დავგებმაროთ ბაბა ხანთან საომრად, დავსდეთ ფიცი და ეს იყო; სხვა არაფერი!

**ლაზარევი.** ბაბა-ხანს ჩვენ თვითონ მოვერგვით, თქვენ საჭირო არა ხართ! ხელმწიფე იმპერატორის სახელით გიბრძანებთ ახლავე დაჰყარეთ იარაღი, თორემ ზარბაზნების სროლას დავიწყებ!

**ზაზა.** ზარბაზნები რა საქიროა, ბატონო! მიბრძანდით და ჩვენც თქვენთან გიხსლებით!

**ლაზარევი.** მაშ ყველანი სასახლეში წამობძანდით!

**ყველანი.** გიხსლებით! გიხსლებით (ჯერ თავადნი გაუღენ და მერე შიჭეკება დაზარევა ჯარით)

ფ ა რ დ ა

**კ. ყიფიანი**

(გაგრძელება—მეოთხე მოქმედება—დაბოქმდება შემდეგ ნომერში)

**გ ა ნ ც დ ა**

(დასასრული. ივ. ჯ. და ც. № 51)

11

რაღაც ხანია მას შემდეგ.

მისი ნუგეში ბიჭუნა მეხუთე წელში გადადგა და, ამ ხნის განმავლობაში, არავითარი ამბავი, არავითარი ცნობა ილოსავან; პატარა ბავშვიც კი გრძნობს უშამობას, კითხულობს, მაგრამ რა უთხრას, რომ თვით არა იცის რა.

—ჩუ თუ ილოს დავაიწყლი?..“

შუშანას თავის დაკოყმულ გულში არა ერთხელ გაუგლია, მაგრამ ეს ექვი თვითვე უცბად გაუქარებია: „არა, არა, ეს შეუძლებელია...“

—ღმერთო! რა შეგცოდნე...—თავის დაუნებურად ჩვეულებისამებრ ამოხდა შუშანას; რაიც ამიღის არ გამოეპარა, და თუშცა მას არა ნაკლებ ეღრწნებოდა ტანჯვას შეჩვეული გული, მაგრამ შუშანა მიინც ანუგეშა:

1033



— იგი მოწყალეა, შეილო!.. მწუხარებასაც ხშირად სდევს სიხარული...

— ეხ, მამიდა! მწუხარებამ რაცა ხანია აქ დაიბუღა!.. მერე, და სად არის, ნუ თუ აქამდე ვერ მოგვიახლოვდა?!

— „მოიცა, ძაღლის შეყეფა“...—შუშანამ სული განაბა.

— „თითქო სასიხარულო შეყეფა... ძაღლი ხტის, ელაქუცება... ეს ხმა... ნუ თუ“...

— გამარჯობათ!..

დაიძახა ილომ შემოალო თუ არა კარები.

— ილო!..

ალტაცებით წამოიძახა შუშანამ და დაეკრა მის ფართე გულსა.

— გაიმარჯოს!..—უპასუხა მოხუცმა და მალე აიხედა, თითქო მადლობისათვის იწვევს ზენასაო.

— დედო!—დრეფნიდან იძახდა გახარებული, სირბილისაგან გულ-ამომჯდარი ბავშვი: მამა მოვიდაო... მართლა მამა მოვიდა... დიად, ბედნიერი იყო ამ წუთას შუშანა.

სოფელი მოძარაბაში; თვით ბუნებაც ამინდით ხელშეწყობია...

ილო დაუღალავად შრომობს, მთელი ოჯახი მხიარულობს. ყოველივე სულიერი და უსულო, გამხნედა, გაბრწყინდა. ბარც კი, დღემდე კუთხეში მიგდებული, ილოს ხელისა შეხებით, მუშაობით ალაპლაპდა; დარღვეული ღობე შესწორდა; ეზოს კარი, ცალ ანჯამაზე დახრილი, ორივეზე დამყარდა; მხიარულად აკრიალდა; ძარი, დღემდის დაცხრილული, ცალ-მხრივ სახურავ ახდილი, საიდანაც ფრინველები სიმინდით თავისუფლად სარგებლობდნენ, გამოკეთდა, სიმინდით გაივსო, დარბაზი გაკოპწიავდა.

შუშანა ბედნიერია; წარსული არც კი გახსენებია, დღეის დღითა კმაყოფილია.

მეგრამ...

გავარდა თოფი, გამოცხადდა ომი. სამეფო სამეფოს ებრძვის: ერთი მეორეს არ იწმინდობს...

არა ბუნებრივი კექა-ქუხილია, ადამის შეილთა, სისხლის დეარები მოსჩქეფს, მასში

ჩვენს სოფლის შეილთა სისხლის ნაქაღულიცა ჩაღვრილი...

— ზრისთვის, ვისთვისა...—ყრულ მიმოცემის მთელს სოფელს.

ილო მთელი ოჯახით საეახშოდ ენზადებოდა, რომ გზირის ხმა მოესმა;

—ილო! ბრძანებაა, ხეალ მაზრის უფროს გამოეცხადო, ომში წასასვლელადია!

ამ ხმამ ყველას შიშის ზარი დასცა: ილო, რო ადგა, ისევე დარჩა კარებისაკენ მიშტერებული; შუშანა ილოს მისჩერებია გაფთხრებული, მამიდაც, იქვე კერასთან, ხელში კოვზით ქოთანს დაჰყურებს აცრემლებული...

ხოლო ბავშვს სძინავს, ჯერ უზრუნველსა, და მშვიდათა ფშვინავ'...

ილო გაისტუმრეს...

მისი ოჯახი, ვით შუშანას გული, დაცარიელდა; თითქო დარბაზიც შევიწროვდა.

და განა მარტო შუშანის? მთელივე სოფლის! ზოგი ოჯახიდან ორი და სამია წასული. მათში ბევრია შუშანას ტოლი და სწორი, უკვე დაობლებული დაქვრივებული...

— შუშანა! მაი!—სანათურიდან ხმა ჩამოსმა—გამოიხედეთ, წერილია...

შუშანა ზეზე წამოიქრა; მამიდა კი უკვე ჩაქმული, კარში გავიდა.

ხოლო ბავშვმა თვალების ფშვინეტით წამოიძახა:

— დედო!.. ჰა, მამა მოვიდა?!

უკვე გათენებულია... —ღმერთო, ილოს ხელია!..

წამოიძახა შუშანამ, რა გადასხნა, და წერილის დახედა.

— შეილო!.. — ეხლავე, მამიდა, გხლავე...—მიუგო მამიდას და ხმა მალლით დაუწყო კითხვა:

— „ჩემო შუშანავ და ყველაე! ქალაქში კარგა ხანს დაეჩრით, სანამ შეგვმოსავდნენ თავიანთებურად და სამხედრო საქმეს გავაცნობდნენ; შემდეგ ჩვენებურებს დაგვაშორეს და ომის ველისკენ წავგასხნეს. აი, გავცდით საზღვარს, სულ წინ მივდიოდით; განვლეთ ცარიელი სოფლები... ერთ მადლობზე



შევედქით და იქ დავისვენეთ. მეორე დღეს წინ სვლა გვიბრძანეს... თურმე წაგვიტყლილეს: მალლიდან, ვით ქექაქუხილით მება მებზე, ყუმბარა წამოგვიშინეს... გვიბრძანეს, დავიხინეთ... დაქრილებს ზე ვაწყდებოდით და მათზე გადავდიოდით... უცბად დაქრილთა შორის, ნაცნობის მუღარებითი ხმა შემომესმა.

— ილო, ნუ დამტოვებ, შენს ღმერთს აპატე; ვით დანაშავემ... — ვიცან იგი, არცემა იყო... მაგრამ, რა დროს ანგარიშია, როს იგი დაცემულია, შეგლა სჭირია, აღამიანია, მასთან მგზობელია... თურმე თავისი ნებით წამოსულა, სომეხთა დრუჟინაში... წამოვიკიდე; ცეცხლთა შორის გამოვიტაცე... ხოლო, რა გავცდი, ვიგრძენ ტკივილი; მეც დაქრილი ვიყავ... მის შემდეგ მხოლოდ, აი, მოვსულდირდი“.

— შენ დაგენაცვალო! — წამოიძახა მამილამა. — მერე, შვილო...

მამილა ჩქარობდა; ხოლო შუშანას ილოს სურათი წერილზედ ესახებოდა, მით ასოებს კარგახანს ვეღარ არჩევდა...

— „მსურს ყოველივე მოგწერო, მითი ნალველი გადავიტარო. მინდა, მაგრამ ჩარჩენილი ყუმბარის ნაქერი... ნუ შეგეშინდება, გაიფლის... დაგიკოცნი მამ, ჩემზე გამოძურე თვალებს... შუშან, ჩემს მაგიერ აკოცე ბიჭუნასა, გაუფრთხილდი, კარგა აღზარდი; იქნებ მაგან, ჩვენი შეერთებულ სიყვარულის ნაყოფმა, მოიმკას ძმობა, დასთესოს ერთობა... ვეამბორები, ვითა შშობელსა, ჩემს მამილასა, ჩვენთვის მლოცველსა... თქვენგან დაშორებული ილო“.

— გავდრბ დმერთსა.

შუშანა შამ დას ყურს არ უგდებს; არ უკვიროს უკვე ხედავით ნაწერს განაგრძობს.

— „შუშან! ცრა, ვერ ვბედავ, მაგრამ... ბედნიერია, ბედნიერი... რომ იგი აქ და იქ სიიქოს საყვარელია... გვიტყდება, ყოველი ტანჯვა მი, მე მოგაყენე... მუხლ ვიდრეც, ვით დამნაშავე, მის წინაშე, ვინც გუშინ... ილომ ვეღარ მოასწრო ამ წერილის გამოგზავნა... სული დალია“...

აქ შუშანა შესდგა, ვით გამოურკვეველმა, განიმეორა:

— „... სული დალია...“

მამილა გაოცებული, ვით ელდა ნაცემი, პირში ნერწყვე გამოშრალი გაშტერდა; ბავშვი ორთვეს შესცქეროდა.

შუშანამ განმე რებით განაგრძო:

— „სული დალია... დღეს აღარ არის... გუშინ წმინდა გიორგის ჯვარი დაადეს გულზე; წაასვენეს... ილოს სულის ამოსვლისათვის უკი შენი სახელი და...“

აქ კიდევ შესდგა, ლულულულით და ნაწყვეტ-ნაწყვეტ განიმეორა:

— „ილომ... სული დალია“... და მე... ჰა? ვინ... ილო... სად... ილო... ჰა, ჰა, ჰა, ჰა... შუშანამ უცნაურად გადინახარა; მოუწყვი მამილა გამოურკვეველა შესცქეროდა; ბავშვი კი დაჟინებით ეკითხებოდა:

— ლა, დედა? მამამა ცუსტები ალ მოიტანო?..

ხოლო მათი ოჯახის ერთგული დარაჯი ლეკვი შეჭყეფდა, მითქო მგზობლებს ამა ოჯახის უბედურებას ამცნობდა.

მაგრამ განა შარტო ილოს ოჯახი იყო ამ ეამად ასე დაობლებული?..



## დიაკვნის წერილი სატროფოსთან

წმინდაო მთავარ მოწამეთა გიორგი, ევადრე ღმერთისა ჩემთვის, რომ მომცნეს დაჯიბის ნაჭი, რათა ქება და გალობა შეეხსნას ჩემს სულის დაწმუჭადებულს, ჩემს სამთხის ვარდს, ედემის ყვავილს, სატროფოს თვითონ ღმერთთა მოწამე, რომ ჩემი თავი მე აღარ შემოიხრებოდა, ვუღარ დაგმუჭადებულვარ მას აქეთ, რაც კი სასაფლაოზე თვალთ მოგაკანი; ჩემო სიცოცხლის მტრებო! რადემის იქნები ჩემსკად ესე კედელით ცაი? — რატო არ მიბრძლებ, შენის გულისთვის სანთელივით ვსდებთ, შენს მოკონებაში; რამ შეგქმნა? რამ დაგება? თუ ღმერთმა ცალკე არ იმუშავა შენზე, საიდან გამოხვედესეთი დამაზი, ჩემო სულის შიდაფლავთა, ჩემო აბრამის ტანდავ, ადგომის კელაბტარი-



ვით ჩამოქნალო, ხასკასვით ტუბილო, ზედაშე-  
სავით გემრიელო, ნაკურთხი ნაღებივით ნოეი-  
რო, სკამეღავით სურნელავანო, ხსალი ვეგვი-  
ლივით ჩვილო, ბატკანავით ნორჩო, სეთესკვე-  
რივით ფუნთაშუ, ზურგთვლივით ქვეყანაში გა-  
მისულაო, ნუ დამწვი საქმელივით, ნუ დამანე  
სანთელივით. ხუთი მიცვალებული ერთად ვერ  
კამახარებს, რაკორც შენი დანახვს მისხრან  
ხელად. ჩემო სულის დრამავ, გულის ტიბიო-  
ნო, ის დღე როცა შენ ვერა გხვალავ—დღემარ-  
ხვის ორშაბათა ჩემთვის. ჩემო სიცოცხლის  
ფსალმუნო და ცხოვრების კანონო, განა ისე  
ღარიბი ვარ რომ არ მიკადრო? ოღონდ შენ შე-  
მართე და წმიდა სიადრეულო გუფივები, თუ  
ეგვლა ნაკურთხი და უკურთხიდან შესამედი არ  
წავართავ მღვდელს—და შენ კი არაფერი მოგა-  
კლო. ახლა ჩვენც აუწით, ქაჯან, ტაქცია—სამ-  
სახური გავაძვირეთ: თუ შენი სიცოცხლით ჯა-  
მაგორებიც მოგვიმატას, ეს ჭირიანობაც ცოტა  
კიდევ გატეხდა, ნახე მამის სულ შანტეკვარე-  
ბის კაბით გატარებ, ილიას გმცხლის ეტლით  
გასეირნებ, შარტო ნაღებთ და ქაღებთ გამო-  
გვევათ. ისე გატასუქო, რომ ჩვენი ფოფოღია  
ხაშ მსხვილია—ისიც კი შენთან დიდიმარხვასავით  
ჩანდეს გამხდარი.

შენი თვალების ჭირიშე, ადგომის დიტა-  
ნისავით რომ ბრწინავენ. ვენაცვალე დმერთს,  
რომ შენზე მეტი შრომა მიუღია სანამ ეგასე.  
შენ აღმის ნეგინდან კი არა ხარ გაკეთებული—  
ჩემის გულს წვერიდან შეუქნისარ იეგავს. ახა,  
მეფე დავითს შენ ენახე, თუ ის შენს შემდეგ  
კიდევ სამოცს ცოლს-და იყოლიებდა! შენი ად-  
დგომის კვერცხივით დაბრწყული აღისფერი დო-  
ყუბი დამაანში ზირდაბირ ჭრუნტელს იწვევს.  
შენ რო ეგვლასაში შემოსდიხარ და თვალს მო-  
ტვრავ ხელშე, შთავარი ცნება შევარტება, ხატები  
კანკელზე თამაშობას იწვევენ, ასეგა წიგნში  
აღაყმაღალს-გადღიან, თუგლო მიბნეღლებს და  
გული ჩვენი ზარავით ირეკება. მინდა მამის ცა-  
მოფინინო, სიარინო ზივით ვიკადლობო, ბუღბუღავით  
ჩავაშქრო, რომ შენ გასიამოვნო. ჩემო სულის  
სამოთხეში წინამძღოლო, ოღონდ შენ შეეანდე  
ზეტასა და რაკორც ცოფილივინ გინდა ვეფო,  
ბეტრეს გასაღებს ხელადან წავგვალე და შეუ-  
ეგნელს არ გავიშვებ სამოთხეში. შენთვის, შენ-  
თვის, ქაჯან, ჯოჯოხეთში მნათობას, სტროფო-

უობას ვევისრებ. ახ, თუ მადირსებ, ენაცვალე,  
და ერთი წერლის დირს შეფთ ისიც ცოტა სა-  
იმედოს—ახ, ნეტა რა წუთები იქნება ისინი  
ჩემთვის. შე სამ ვერ შევსდებ გულგრილათ  
იმის წაილხვას ნამდვილათ ხასხმის წელით მო-  
საბრუნებელი გავხდები. იმედი მაქვს, ჩე-  
მო კახალოელო ოცნება! ამ ჯვარდულ გულს  
და იბიბიკულს წელუღებს გამომეღლებ. ერთს  
მატვან ებსიტოლეს მომწერ და სამუდამო ჩა-  
ხელებ ჯოჯოხეთის გეგლს, რომელშიც შენი  
ღანხვის შემდეგ ვიწევ.

გწერს შენგნით ტიბის ხურჯინავით გა-  
სებული მწუხარებით -- შტატნი მრანეტკიაი ქა-  
დაძე. „გენო“

ჩ ე მ ი ლ ა ლ ე

ლოალს თქმასა მიჩრჩევს გული,  
ახა, რა ვსტქვა მიგლე ყური!  
ლოალე-ლოალე, თარი-თურა ლაალე.  
პროვინციის ქალები,  
ლოტარიით მთვრალნი,  
ყოველ ღამ თამაშობენ,  
ერთმანეთს ტყავს აბრობენ.  
ლოალე-ლოალე, თარი-თურა ლაალე.

II

იქ რომ მთვრალი კაცი ვნახე!  
სწორეთ გულით ვივავლახე:  
გულ-ნარევიში ჰქონდა ცხვირი,  
ზულუნებდა როგორც სტვირი:  
ლოალე-ლოალე, თარი-თურა ლაალე.  
ფარულ ლენოს რა უქნია,  
დაბა როგორ დაურყენია?!  
ლოალე-ლოალე, თარი-თურა ლაალე.  
ეს იქმარე, დანარჩენსაც მოვახსენებ მალე,  
ალი-ძამია

ქართული სახიობა

ხარზუხის სახ. კლუზი შაბათს, 18/XII,  
ვაჟა-ფშაველას საღამოზე რომ საზოგადოება დაესწრო,  
განსაკუთრებით საშუალო, არც ერთ კლუბს არ მოს-  
წრებდა: რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა, დარ-  
ბანი ისე იყო ხალხით გაკიჟნული. გული სიამით გვე-  
სება, როდესაც ხედავ ერთის მხრით ჩვენი ზოგიერთ  
კლუბოსათა კულტურულ მუშაობას, მეორე მხრით



სახოგადობის ასეთი თანაგრძობის გამოჩენას ეროვნულ გათვითცნობიერების საქმეში, საღამო მეთუ საათზე დაიწყო. I განკ.: სადა სცენაზე უკანა კედელთან ხავერდით მობურულ ცვარცხლბეკზე ვაგას მშვენიერი სურათი ეყრდნობა მწვანეულის ჩარჩოში, ცოცხალი ვარდებით შემკული; სცენის წინა რიგზე იდგა გველი, მაუდ-ვადაფარებული მაიკა, რომელსაც ვარს ესხდნენ ჩვენი სახოგადო მოღვაწე-მწერლები: ე. გაბაშვილისა, ს. მელობოლიშვილი, ქს. ჭრუჭაშვილი, შ. მღვიმელი, გრ. რომაჭიძე, დ. კასრაძე, ტრ. რამიშვილი გ. ქუჩიშვილი, ს. ფაშალიშვილი, ბ. ახოსპირელი და სხ. ფარდის აწვევისათანავე სიმებიანმა ორკესტრმა პრემიანის ლობტარობით შეასრულა შოპენის სამგლოვიარო ჰიმნი, რაიც სახოგადობამ ფეხზე აღდგოთ მოისმინა სასიამოვნო; შესავალი სიტყვა წარმოხატვა გრ. რომაჭიძემ, სიტყვა იყო სხარტულა, შინაარსიანი, ღამაზი. დ. კასრაძემ წაიკითხა რეფერატი „ვაჟა-ფშაველა და მისი პოეზია“, რეფერატი ფრადე შინაარსიანი გამოდგა. მე-II განკ., წარმოსთქვეს ლექსები გ. ქუჩიშვილმა („ვაგას ხსოვნას“ და „ვინა სთქვა“), ბ. ახოსპირელმა (ე-კასიევი — „ფშავლის სიმღერა“ და „არწივი“), ს. ფაშალიშვილმა (ვაგას ხსოვნას და მისი სიმღერა), იოს. ფანჯულაიამ (ვაგას „მოხუცის ნათქვამი“ და „ღარიბის სიმღერა“ ა. აღაძიმე (ვაგასი — „მეფე“, „გაგო ვნახე“ და სხ.) გურუელის გუნდმა სამუელ ჩაულეშვილის ლობტარობით, ალ. მახარაძის, სამ. ჩხიკვიშვილისა, ვარ. სიმონიშვილისა და სხ. მონაწილეობით გურული სიმღერებით მოაჯადოვა სახოგადოება. სახოგადობის დაბეჯითებითი თხევითი იმღერეს: „სუფრული“, მ. გურიელისა, „შვილი ტრ.“, „პატარა საყვარელი“, „ხასან ბეგურა“, აღი-ფაშა“, „მყრული“ და „ალილო“. III განკ. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ცოცხალმა სურათებმა მეფე ერეკლეს „სიხარამა“ და „ლოიაში“. ამ განკითხვებში გლუხვად ჩაქმულმა ს. გლახაშვილმა პრემიანის-მიერ საგანგებოდ შეთხზულ მუსიკაზე მოსთქვა თავისივე „ბუნების გლოვა“ („ოტოტ. და ცხოვ.“-ს 32 №-ში დაბეჭდილი). საუბროვო იყო აპოთეოზი—ვაჟა-ფშაველა მთებში. სურათების გვემა შეადგინა ს. გლახაშვილმა, თლოა დიდის გემოთი დასდგა რეგ. ალ. წუწუნავამ და თუ ზოგი რამ ნაკლი ჰქონდა (უმთავრესად შინაარსის განსხიერების მხრით) აღბადა ზღე აწყობა უქონლობით. საღამო დასრულდა ორკესტრის მიერ, პრემიანის ლობტარობით, შესრულებული სამშობლო-ით. ყველა აღმსრულებელი სახოგადობამ მხურვალე ტაშით დააკვირდნენ.

ქართველი ქალები ყოჩაღად ჰყიდდენ სხვადასხვა წიგნაკებს, ყვავილებსა და ამ საღამოსთვის საგანგებოდ გამოცემულ ღია ბარათებს ვაგას სურათით (ზღაწარწერით) მეტ ვერაზე ერთს აგურს ქართველ მოღვაწეთა აკრატვისათვის. ამ ბარათებში მანათნე ნაკლები არავის მიუცია. შემოსავალი 800 მან. მეტია. ხარჭუხის კლუბის მამასახლისთა საბჭოს დადგენილებით, ამავე

აგარაკის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად ზორაგეულსა და სასმელებს 10% მიემატა. სახოგადოდ, მამასახლისთა საბჭომ საღამოს გამართვაში დიდი უნარი გამოიჩინა: თითოეული მათგანი იმის ზრუნვაში იყო, საღამოს კარგა ჩაველო და მეტი შემოსავალი ყოფილიყო.

ერთი მამასახლისთაგანი, ალ. სიმ. ლორთქიფანიძე, აგარაკის სააღმშენებლო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გადმოგვცა, ფიქრობს აგარაკის საძირკველი მისშივე ჩაყაროს.

უსურვოთ, ეს აზრი მალე საქმედ ექცივნოთ და მაშინ ქართველი ხალხი უფრო დიდს გულუხვობით გაიხსენის ჯიბეს საერთო საქმის სასარგებლოდ. უსაფინა.

**ბაქოს დრამ. წრემ** გვირას, 13/II/X, ბ-ნი ი. ზარდაღაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა ფეხტერის ნ მ. ბიესა უმეკვიდრე ზრინცია, რომელმაც დიდხალი ხალხი შთაიხიდა. ბიესა ღამაზად იყო დაღვრული (რედეგნადან შიკიდეგნად სომეხთა კანთ-მოფე. სსზაგ. დარბაზის სტენახე) და რომელიც შესაფერად იყო განწილებული. თვით რეჟისორმა კარლ ჰენრიხის რალი ჩინებულად შესრულა. მას მხარს უმხურებდა ქ-ნი შთაიხი (კეტე). ბ-ნი ზაფაიაშვილი (დეპტორი) და მატარაძე (ფონ-გაუკ) რეცანები იყვნენ, ბ-ნი ქარქაშაძე (ტიპიური ღუფი) დაუსრულებლად გავსხიარულებდა თავისი მოხდენილი თაშაშით. ბ-ნი გეგე ჭიჭია (რიუდერ) და ქ-ნი წყაუკიძის (რიუდერის) შესაფერ რალებში, დამკამუაფიდეგნად თაშაშობდნენ. ა. ზაფაიაშვილი (პეტრებერი) და ჭყმუშაძე (კვლეგონიანი) სურათთა ანსაბლს ხელს ეწყობდნენ.

საერთად ბიესამ დამკამუაფიდეგნად ჩიიარა, უკეთესადან ჩიიედიან, უკუდას რომ კარგად შეესწავლათ რალები.

დასაზში უწყსრიგობას კი, მიუხედავად წესრიგის დამკველთა შრომისა, მაინც ვერ აგედით. რას გასდება ორი-სამი წესრიგის დამკველი, თუ თვითველ მყურებელს არა აქვს შეგნებუდი, —როგორ უნდა ეკაროს თავი წარმოდგენის მსყვლად მის დროს? **გულისაბა**

**დ. ხაშურში** გვირას, 13/XII, ხაშურის ქარ. დრამ. წრემ ადგილობრივ ქალთა საპროფესიონალ სასწავლებლის სასარგებლოდ გაბართა საქველმოქმედო საღამო. წარმოდგინეს რუსულად ერთ-მოქმედებიანი ვოდ. და ქართულად. მესხის I მოქ. ვოდ. „მოფურჩხულია“. პატარა ქალებმა მეტად მოხდენილად წაიკითხეს ჩვენი მგონების რჩეული ლექსები; დასდ-



გეს ცოცხალი სურათი (შოთა რუსთველის მიერ ავტოგრაფის ტყავისა) მირთმევა თამარ დედოფლისადმი). ვიდრეღებმა ცოცხლად ჩაიარა და ცოცხალი სურათი—პროიანდ იყო დადგმული. ბლოს გაიმართა ევროპიული და ჩვეულებრივი ცეკვა. წმინდა შემოსავალი მოხმარდება. ხაშურში და მის მახლობლად მცხოვრებ იმ ღარიბ ქალებს, რომელთაც საპროფესიონალი სასწავლებლებში შესვლა სურთ, მაგრამ სიღარიბის გამო ვერ მოუხერხებიათ.

განსაკუთრებული პატივისცემისა და მადლობის ღირსია კნ. ვლ. თარხან-მოურავის ასული, რომელმაც საკუთარის ენერგიით დაარსა ხაშურსა და ქართლის სხვა თვალსაჩინო დაბა-სოფლებში პროფესიონალური სასწავლებლები და ახლაც დაუღალავად განაგრძობს მოღვაწეობას.

ხაშურის საზოგადოება საღამოს განსაკუთრებული სიზარტყობით შეეგება: თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი და ადგილობრივმა მანდილოსნებმაც ღიდი მხნეობა გამოიჩინეს შემოსავლის განსადიდებლად.

ნიკო გურული

**ქართული თეატრი რიგოლიეტო** (კ. დოდაშვილის თარგმანი), რომელიც სახალხო მუს. სახ-სამ სახალხო სახლში ზარსკავეს, 18/XII წარმოადგინა, ვერ იყო გამომგევი იმ მხატვრულ-მუსიკალური კონცერტაციისა, რომელსაც ხმათა შეწყობა, მოქმედება, ენა და მათი ქართმანაზღადა უნდა ჰქონიდაეს: ზოგიერთს სასამო, მაგრამ სუსტი ხმა ჰქონდა, ზოგი რუსულის ეილო-კაგებებით დახმარებადა და ამით დისონანსი შექმნადა. ამას მიუმატეო ისეც, რომ ღიბრეტოში ქართულად მარტყალთა ბეგარს საყვარელი იყო ვერ არის შეთანხმებით დატყალი იმ ქანტანს, რომელსაც ჟუსეჟე ვერდის მუსიკა გამოსცემს—და შემოსრულებულთა უხერხული მდგომარეობა ნათლად წარმოგიტყობათ. მაგრამ ფრეად სისამოყენო მოსასმენი იყო თეთი თრეჟეტრა, რომელსაც ცნობადი ზ. ფელაიშვილი დირიჟორბდა. სიერთად კი უნდა ვსთქვათ, რომ მოქმედ-მომღერალთა უოკელი შედგომაც კი მსეჟეგელი იყო იმ ცდისა და შრამის მოყვარეობისა, რომელთათვისაც დიდი ქება, პატივისცემა და უკრად-ღება ეჟუოიანთ... და ხეერტ ვიშედიანებთ, რომ ქართული მუსიკალური ხელოვნების სტენაზე განმსახიერებლნი შეიშეგეო უფრო ძლიერს ნეტარების მომგეჟე ხეებს ვგასმეჟენ... მოკეთე.

**სახალხო სახლში** 20/XII ბ. ს. ქავთარაქემ წაიკითხა ლექცია თანამ. ამის ნამდვილი მიზეზებია. ლექტორს თუმცა ახალი არა უთ-

ქვამს რა, მაგრამ ლექცია მაინც მსანარსიანი გამოდგა. მისაზებრეჟეი იყო ერთგვარი, დაბადის ხმით კითხვა; თუმცა ლექციის ენა მშეჟეიერი იყო. სასურეჟეა ხშირად იმართებულეს ლექციები, უფრო იაი-ფასეჟეში... ზემოდა აღნიშნულ ლექციას ხალხი ცოტა დაესწრა, ალბად იმისთვის, რომ ცუდი ამინდი იყო და ფასეჟეც კი ათ მუარამდე.

ს ხ — ელი

**საზოგადოებრივი თეატრი** 17/XII, წარმოადგინეს „ბიკეჟეში“—კომ. ა. ცაგარლისა. კარგები იყვნენ: ქანი თოიძე და პრიკაშნიკი, არა უშეღდათ რა ქ.—მარტყაძისა და ბანი მინდიშვილს. საერთოდ რალებს უცოდინრობა ემჩნეოდათ.

სამუშაოთად განცხადებულს ბეგრი გამოაკლეს: არ წაიკითხეს „შეშლილის წერილები“, დიფერტისმენტზე არ იყვნენ: პ. ირეთული და გ. ქუჩიშვილი. ცოცხლის სურათის ჟღერა და შვილის „შემდეგ—დიფერტისმენტში, გ. ლეონიძემ წაიკითხა ლექსი, ა. სალავიამ—იმერული სცენები და სხ.

შალვა მათიკაშვილი

### წერილი აგგეჟი

➔ **გალაქტიონ ტაბიძის ლეხების** მეორე ტომზე ნახალწლევს მიულ საქართველოში და რუსეთის ზველა საუნივერსიტეტო ქალაქში დაიწყება ხელის მოწეოა. ერთი წლის წინად დაბეჭდილი პირველი ტომის 3,000 თანამოკლე ხანში სწრაჟად გაიყიდა.

➔ **კომ. პ. ფოცხვაძის** თბილისი ჩამოვიდა და ამ მოკლე ხანში კონცერტის გამართებას.

➔ **ს. გლახვილი** საბავშო პიესად გადმოაკეთა „იავნანა რაჰქენა“. ეს პიესა დაიდგინა სახ. სახლში 3 იან. „იაკობ გოგებაშვილის დღეს“. შემოსავალი გამოეცემა ქართ. მოღვაწეთა აგარაკის ამშენებელ კომისიას.

➔ **ძატი. კულ. გომ.ს.** საზოგადოებამ გამოსცა „ლია ბარათი“ ვეჟა-ფშაველას სურათით, აგარაკის ნახტიოთურთ. შემოსავალი აგარაკის ამშენებ მოხმარ.

➔ **ძატი. კულტ. სახ. ის კრებაზე** ან. კლუბის დარბაზში ორშაბათს, 26/XII, კომ. კ. ფოცხვაძის წაიკითხავს მოხსენებას „ქართველი ერის თანამედროვე სარწმუნოებრივი მდგომარეობა“. დასაწყისი შუდღის 12 ს. დასრუება ყველას შეუძლიან.

➔ **ღებო მიგაძის** უკეჟე დაამთავრა დრამ. პოემა „პრომეთე“ და ქართ. კულტ. მოყვ. სას. გამგეობას გაამუშავებენ. ამ პოემას თვით ავტორი წაიკითხავს საჯარო კრებაზე.

➔ **ივ. პატიბაძის** დაამთავრა დიდი კრიტიკული წერილი „სოფელი და სოფელები სოფ. მგალობლიშვილის ნაწარმოებში“.

რედაქტორ-გამომგეჟელი ანნა იმედაშვილისა



# „სახსლ ამ უზრუნველი“

გაზეთი ურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 9 მ 50 კ, ნახევარი წლით

5 მ., სამი თვით 2 მ 50 კ., ოვით 90 კ.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. ხელის მოწერის დროს 3 მ. 50 კ. პირ. იელის. 2 მ და პირვ. ენკენ, 1 მ. 50 კ, კანტორა ხელ. მოწერ. ღიაა დილის 9 ს. ნაშუად. 3 ს. და საღ. 4-8 ს. წლიური ხელის მოწერნი, რომლებიც 1916 წლის 1 აპრილამდე სრულიად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ პრემიას ორიგინალურ თხზულებას. თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ. თხზულების შინაარსი იქნება დახლოებით შემდეგი: 1. ომი და მისი მიზეზები; 2. ერი და სახელმწიფო; 3. მუშათა კლასი და სოციალისტური ორგანიზაციები ომის წინა და ომში; 4. ერი და დემოკრატია; 5. რევალუტი მოსახლეობა საქართველოში და საქ. ტერიტორია; 6. კავკასიის ერები და მათი ურთიერთობა; 7. ომის მიმოხილვა.

საპრემიო თხზულების ავტორები: კ. ხააშიძე, ა. გუდუჩაძე, გ. გუგუშვილი, გ. ჯანაშია, გ. ჯანაშია, გ. შაიაშვილი, გ. რეხიაძე, ს. თორდგაძე, გ. ქიქოძე, თ. დღანტი, ა. კავანაშვილი.

მისამართი: ტფილისი „სახსლ ამ უზრუნველის“ რედაქცია, სახსლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6. ტელეფონი 12-29.

## თანამედროვე პერი

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვიურ 90 კ. გაზეთის ფასისთვის მიიღწ. წინდაწინ უნდა გადაიხ. ნისიით არავის გაეგვანება.

ფოსტით ხელის მოწერა უფალი შემდეგ ადრესით უნდა გამოგზავნან: **Тифлисы, поч. ящ. № 199 Власію Малакiewiczу Бохохадзе**. თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლგას ქუჩა: № 6 მომავალ წლის მოწერა კანტორა უმორჩილენად სიხვის ფული 20 დეკემბრამდე შემოიტანონ.

ყოველკვირ. გაზეთის დახმ. საქ. სალ. და **„გვერდითი“** მთელი წლით და ნახევარით იყვანება. მურომულ ხალხს კლასობრივი და ეროვნული ინტერესები, „უღ. აბს. ეროვნული კავშირი გამტკიცოს უცხო ეროვნების გვერდით კლასთან.

წლიური ფასი 2 მ 50 კ. ოვით 25 კ. უფალი უნდა გამოგზავნოს რედაქციაში შემოგზავნაში **Тифлисы, Мухоманная ул. № 12, Георгия Никифоровичу Медине**.

ახს. პარკში. ა. ს. ში **„გვერდითი“** ახვლიდინისა. სახმედრო. ქ. და გოლოვინის პროკურთე.

## „განათლება“

უფრანგ-გაზეთების კანტორა ქ. თბილისში ოლგას ქუჩა № 6. კავანაშვილი ავტორები: „თეატრი და ცხოვრება“, „თან. აზრი“, „უკ. მათრახია“, „საქართველო“, „Тифлисский Листок“, „Русское Слово“, „ჭობაზონი“, კედლის კალენდები და სს და სს. ქართული წიგნები. ფული რა წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: **Тифлисы, почтовый ящик № 96, С. Таварткиадзе**.

გამართულია ხელის მოწერა

### კიკნა-უზრუნველის

პოემების და რჩეული ლექსების კრებულზე, რომელსაც დეტორის სურათი, ბიოგრაფია და დ. პანბარის გრიტიკული წერილი. ხელის მოწერა შეიძლება ჩვენს რედაქციაში და მის ხელეულიძესთან: პარკოვსკი ქ სახ № 27.

20-й г. изд. ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1916 годъ. 20-й г. изд.

НА

# Театръ и Искусство.

52 номера еженед. иллюстр. журнала, 12 ежем. книг Библиотеки, до 40 репертуар. пьесъ. Отдѣль „Эстрада“, заключающій номера для чтенія со сцены, дивертисментовъ и концертовъ. Въ распоряженіи редакціи имѣются слѣдующія пьесы: С. А. Найденовъ—„Работница“, ком въ 4 д.; Л. Урванцовъ „Вѣра Мирцева“, пьеса въ 4 д.; С. Шиманскій—„Кровь“, драма въ 4 д.; Ш. Ашъ—„Польскіе евреи“, пьеса въ 4 д.; П. П. Гнѣдичъ—„Уходяще боги“, пьеса 4 д.; Д. Айманъ—„Лѣтній романъ“, пьеса въ 4 д.; С. Ауслендеръ—„Хрупкая чаша“, пьеса въ 5 д.; А. Вознесенскій—„Актриса Ларина“, пьеса въ 5 д. и мн. др.

Въ виду вздорожанія бумаги подписная цѣна увеличена на 1 рубль.

Подписная цѣна на годъ 9 руб.

Разсрочка при подп. 4 р., къ 1 апрѣля—3 р., къ 1 юня—2 р. За границу 14 руб.

На полгода (съ 1-го января) 5 руб. За границу 8 руб.

На мѣсяць безъ приложеній — 65 коп.

Гл. контора: Петроградъ, Вознесенскій пр., д. 4. Тел. 16—69.

Подпис. цѣна:  
годъ 7 р. — к  
1/2 г. 3 — 50  
3 м. 1 — 75  
1 м. — 60  
За грав. вдвое  
Допускается  
разсрочка.

VIII г. изд. на 1916 годъ VIII г. изд.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

на еженедѣльный богато-иллюстрированный журналъ

Подъ редакціей „РАМПА И ЖИЗНЬ“ Л. Г. Мунштейна (Lolo).

Театръ.—Музыка.—Литература.—Живопись.—Скульптура.

Объявлен. впе-  
редн текста  
и строка  
петита, озади  
текста 50 коп.

Безплатная премія для  
годовыхъ подписчиковъ:

галлерея сценическихъ дѣятелей

роскошно-иллюстри-  
рованное изданіе

1900—1916 гг. Томъ П-й.

52 большихъ портрета (на обложкѣ) артистовъ, писателей, композиторовъ и художниковъ, болѣе 2000 снимковъ, зарисовокъ, шаржей, каррикатуръ и проч. Собственные корреспонденты во всѣхъ западно-европейскихъ театральныхъ центрахъ. 52

Годовые подписчики, желающіе получить 1-й томъ „Галлерей“, доплачиваютъ 1 р. 75 к.

Адресъ: Москва, Богословскій пер. (уг. Б. Дмитровки), д. 1. Тел. 2-58-25.  Контора открыта ежене-  
дневно, кромѣ праздничныхъ дней и субботы отъ 11—4 часовъ дня.  ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ также  
въ Москвѣ у Н. И. Печковской и К<sup>о</sup> (Петровскія Линіи), въ книжн. маг.: „Новое Время“ (въ Пе-  
трогр., Москвѣ и пров. гор.), въ муз. маг. В. Бессель и К<sup>о</sup> (Москва, Петровка, 12), М. О. Вольфъ  
(Москва—Петроградъ), кн. маг. Л. Идиковский (Кіевъ, Крещатикъ) и во всѣхъ книжн. магаз. гор.  
Москвы и провинціи. МОЖНО ПОДПИСЫВАТЬСЯ ПО ТЕЛ. 2-58-25.

გიორგის ხეობის მოხუცნი 1916 წ.

# თეატრი და სპორტები

Доволено Военной Цензурою სტამბა „სოციალიზმი“